

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ივლისი ---- 2018 წელი

ქ. ოზურგეთი

დადგენილება №-----

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გარე ვაჭრობის რეგულირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „მ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის, 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

და ა დ გ ი ნ ა:

მუხლი 1.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გარე ვაჭრობად მიჩნეულ იქნეს ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებულ ქუჩებზე, მოედნებზე, ტროტუარებზე და გზისპირებზე, ასევე დასასვენებელ ადგილებში მცირე სტაციონარული არქიტექტურული ფორმებიდან და არასტაციონარული კონსტრუქციებიდან ვაჭრობა.

მუხლი 2.

გარე ვაჭრობის რეგულირების მიზანია:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის იერსახის დაცვა;
2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
3. ფეხით მოსიარულეთათვის გადაადგილების შეზღუდვის თავიდან აცილება;
4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სურსათის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინტერესების დაცვა.

მუხლი 3.

მცირე სტაციონარული არქიტექტურული ფორმებიდან და არასტაციონარული კონსტრუქციებიდან დროებითი ვაჭრობისათვის დასაშვები საქონლის ნომენკლატურა განისაზღვროს:

1. დროებითი სტაციონარიდან:
 - ა) ჟურნალ-გაზეთები;
 - ბ) წიგნები;
 - გ) ნახატები, სუვენირები და სხვა ხელნაკეთი ნივთები;
 - დ) ყვავილები;
2. სეზონური ვაჭრობა დროებითი სტაციონარიდან:
 - ა) გაზიანი გამაგრილებელი სასმელები და წყლები (მათ შორის ბურაბი);
 - ბ) ნაყინი (სპეციალური მაცივრის მეშვეობით);
3. არასტაციონალური კონსტრუქციებიდან
 - ა) ხილ-ბოსტნეული მაღაზიის წინ, ვერტიკალურ სტელაჟზე (თუ ხილ-ბოსტნეული არის მაღაზიის საკუთარი პროდუქცია და მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა აკმაყოფილებს სანიტარულ ნორმებს და უზრუნველყოფს პროდუქციის ხარისხის შენარჩუნებას მიღების, შენახვისა და რეალიზაციის პროცესში);

ბ) სპეცდანიშნულების საფირმო მანქანებიდან კვების პროდუქტები (სანიტარული პირობებით და სასაქონლო-ესტეტიკური იერსახით დაცული).

გ) შეშა (სპეციალურად მოწყობილ ადგილებში);

დ) საზამთრო, ნესვი, გოგრა;

ე) ყურძენი (ავტომობილებიდან).

მუხლი 4.

1. საზოგადოებრივი სარგებლობის ადგილებში ვაჭრობისათვის განკუთვნილი ადგილები მოეწყოს ისე, რომ ისინი აკმაყოფილებდნენ მუნიციპალიტეტის იერსახის მოთხოვნებს და არ შეაფერხონ ფეხით მოსიარულეთა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება. ვაჭრობა განხორციელდეს მოქმედი სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნების, სხვა ნორმებისა და წესების დაცვით.

2. საზოგადოებრივ და საკურორტო ადგილებში, ასევე კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში განთავსებული მცირე არქიტექტურული ფორმების (კიოსკი, საჩრდილობელი, საყვავილე და სხვა) მოწყობა, რომელიც არ საჭიროებს მზიდი ან საყრდენი სამშენებლო კონსტრუქციების აგებას, გარდა ტერიტორიის შემოღობვისა, დაიშვება მხოლოდ არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმებით.

მუხლი 5.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ:

1. განსაზღვროს გარე ვაჭრობის კონკრეტული ადგილები, ამ ადგილებით სარგებლობის ფორმები და ამისათვის განახორციელოს საჭირო ღონისძიებები;

2. შეიმუშაოს სადღესასწაულო და წინასადღესასწაულო დღეებში, ასევე სხვა ფართომასშტაბიანი ღონისძიებებისა და აქციების მოწყობისას გარე ვაჭრობის ორგანიზების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები;

3. ამ დადგენილების მე-4 მუხლით განსაზღვრულ სამართლებრივ ურთიერთობებს ზედამხედველობა გაუწიოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ზედამხედველობის სამსახურის ზედამხედველობის განყოფილებამ.

მუხლი 6.

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გარე ვაჭრობის რეგულირების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 5 ივლისის N11 დადგენილება (www.matsne.gov.ge ვებგვერდი, 11/07/2017 სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.113.016292).

მუხლი 7.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

განმარტებითი ბარათი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გარე ვაჭრობის რეგულირების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე

1. პროექტის წარმდგენი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია.

2. პროექტის ავტორი და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი: ლაშა თავაძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი;

3. პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ა) პროექტის მიღების მიზეზი და ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ა.ა) პროექტის შემუშავების საფუძველია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „მ“ ქვეპუნქტი, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილი და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი, 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი;

ა.ბ) პროექტი ადგენს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში არსებულ ქუჩებზე, მოედნებზე, ტროტუარებზე და გზისპირებზე, ასევე დასასვენებელ ადგილებში მცირე სტაციონარული არქიტექტურული ფორმებიდან და არასტაციონარული კონსტრუქციებიდან გარე ვაჭრობის რეგულირების წესებს.

ბ) პროექტი შეიცავს პრეამბულას და მასში გადმოცემულია ამ ნორმატიული აქტის მიღების სამართლებრივი საფუძვლები.

4. იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარმოდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა):

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

5. პროექტის მიღების სავარაუდო თარიღია 2018 წლის 5 სექტემბერი.